

პონ სტიუართ მილ

JOHN STUART MILL

ქალთა დაქვემდებარება

THE SUBJECTION OF WOMEN

გამომცემლობა აძლი
თბილისი - 2022

ავტორი: ჯონ სტიუარტ მილი
მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4240-5

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	4
თავი I	9
თავი II.....	55
თავი III	88
თავი IV	136
გამომცემობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები	175

მთარგმნელის წინასიმუშაობა

ჯონ სტიუარტ მილის, ნაშრომის – „ქალთა დაქვემდებარების“ მთელი რიგი პასაუები აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს.

1830 წელს ჯ.ს. მილი 22 წლის ჰარიეტ ტეილორს შეხვდა. ისინი 1851 წლამდე არ დაქორწინებულან, მანამ, სანამ ტეილორის ქმარი გარდაიცვალა, მაგრამ მილი იუნებდა, რომ ჰარიეტმა შთააგონა, შეუწყო ხელი და გადაამოწმა მისი საგულდაგულოდ დამუშავებული ყველა ნაწერი. თვით ჰარიეტ ტეილორი 1858 წელს გარდაიცვალა, ათი წლით ადრე მილის მიერ „ქალთა დაქვემდებარების“ შექმნამდე და მაინც, ფილოსოფოსი ამ ესსეის მეუღლეს აკუთვნებს. მილი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ის თანასწორობის პრინციპის ერთგული მასთან შეხვედრამდეც იყო, სწორედ ჰარიეტმა დააფიქრა ქალთა კანონისმიერი დაქვემდებარების „პრაქტიკულ“ შედეგებზე.

მილი ქალისა და მამაკაცის სამართლებრივი და სოციალური თანასწორობის სასარგებლოდ გამოდის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაშრომის საფუძვლად დევს შემდეგი მოსაზრება: „ერთი სქესის კანონიერი დაქვემდებარება მეორისადმი – თავისთავად მცდარია და დღესდღეობით ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანის სრულყოფისათვის“.

იმ დროს, როდესაც მილმა „ქალთა დაქვემდებარება“ გამოაქვეყნა, მის ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ქალებს ხმის უფლება არ გააჩნდათ. დაქორწინებული ქალი არ იყო ცალკე იურიდიული პირი ქმრისგან და ამ უკანასკნელის გამგებლობაში ექცეოდა ნებისმიერი ქონება ან ფული, რომელსაც ქალი ფლობდა.

ქალთა დაქვემდებარებული იურიდიული სტატუსის საყოველთაო დასაბუთება იყო ის, რომ ისინი მორალურად აღემატებოდნენ მამაკაცებს და, შესაბამისად, უმჯობესი იყო მათი ოჯახზე მიჯაჭვა, სადაც ისინი დაცული იქნებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების შემრყვნელი გავლენისგან და შეძლებდნენ ჩამოყალიბებინათ მომავალი თაობის ზეობა, რაც, მილის მტკიცებით, ალოგიკურია: „არ არსებობს სხვა ცხოვრებისეული სიტუაცია, სადაც წესად იყოს დადგენილი და ბუნებრივად და შესაფერისად ითვლებოდეს, რომ უკეთესი ემორჩილებოდეს უარესას“.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ქალები უფრო ემოციურები იყვნენ, ვიდრე რაციონალურები და არ გააჩნდათ მამაკაცების ტოლფასი ინტელექტუალური შესაძლებლობები. მილის მტკიცებით, თუ ქალები ემოციურად, პასიურად და აპოლიტიკურად გამოიყურებიან, ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ასე არიან აღზრდილნი. ამ პრეტენზიის გამოთქმისას მილი ეხმანება მერი ვოლსტონკრაფტის „ქალთა უფლებების დაცვას“, რომელიც თითქმის 70 წლით ადრე გამოქვეყნდა. მილი ამტკიცებს, რომ სანამ საზოგადოება თანაბრად არ მოექცევა ქალებსა და მამაკაცებს, შეუძლებელი იქნება ქალების ბუნებრივი შესაძლებლობების ცოდნა, ან ცოდნა იმისა, არსებობს თუ არა სქესთა შორის თანდაყოლილი განსხვავებები.

მიუხედავად ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, „ქალთა დაქვემდებარებაში“ ჩამოყალიბებული მრავალი იდეის გამოისობით ნაშრომი დღემდე აქტუალურია და დამსახურებლად ითვლება პირველ მნიშვნელოვან ტექსტად ფემინიზმის სფეროში.

პონ სტიუარტ მილი

ქალთა დაქვემდებარება

თავი I

წინამდებარე ესსეის მიზანი იმ შეხედულების საფუძვლების შეძლებისდაგვარად ცხადად ახსნაა, რომლის ერთგული ადრეული პერიოდიდან ვიყავი, როდესაც საერთოდ ჩამომიყალიბდა შეხედულებები სოციალური და პოლიტიკური საკითხების შესახებ და რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ შესუსტებულიყვნენ ან ცვლილება განეცადათ, გამუდმებით ძლიერდებოდნენ მსჯელობის განვითარებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით: რომ პრინციპი, რომელიც ორ სქესს შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებს არეგულირებს – ერთი სქესის კანონიერ დაქვემდებარებას მეორისადმი – თავისთავად მცდარია და დღესდღეობით ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანის სრულყოფისათვის; და რომ ის უნდა ჩანაცვლდეს სრულყოფილი თანასწორობის პრინციპით, რომლისთვის არც პრივილეგია და ძალაუფლებაა მისაღები ერთ მხარეს, და არც შეზღუდვა – მეორე მხარეს.

თვით ის სიტყვები მიგვითითებს ამოცანის სირთულეზე, რომლებიც მის გამოსახატავად არის აუცილებელი. მაგრამ, შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ საქმის სირთულე იმ საფუძვლების უკმარობასა ან გაურკვევლობაში დევს, რომლებსაც ჩემი შეხედულებები ეფუძნება. სირთულე ისაა, რაც ყველა სხვა შემთხვევაში, ანუ, როდესაც საქმე გაქვს გრძნობათა დიდ ოდენობასთან, რომელსაც უნდა

გაუმკლავდე. მანამ, სანამ შეხედულებას ღრმად აქვს ფესვი გადგმული გრძნობებში, ის უმალ იძენს სტაბილურობას, ვიდრე ჰერარგავს მას, აქვს რა გადამწონი არგუმენტი მის წინააღმდეგ. რადგან, თუკი ეს არგუმენტის შედეგის სახით იქნება მიღებული, არგუმენტის უარყოფამ შესაძლოა მთელი შეხედულების სიმტკიცე შეარყიოს. მაგრამ, როდესაც ის მხოლოდ გრძნობებს ეფუძნება, რაც უფრო მეტად ზარალობს ის არგუმენტთა დავაში, მით მეტად დარწმუნებულნი არიან მისი მიმდევრები, რომ მათ გრძნობებს უფრო ღრმა საფუძველი უნდა გააჩნდეთ, რომელსაც არგუმენტები ვერ წვდება. ხოლო, სანამ ეს გრძნობა არსებობს, ის გამუდმებით ამოისერის ახალ არგუმენტებს, ძველის ყველა ბზარის შესავსებად. იმდენად მრავალი მიზეზი არსებობს ამ საგანთან დაკავშირებული გრძნობების საქცევად ყველაზე ინტენსიურად და ფესვგადგმულად მათ შორის, რომლებიც ძველი ინსტიტუტებისა და ადათების გარშემო არიან შეკრებილნი და იცავენ მას, რომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ისინი მეტად ძირგამოთხრილი და შესუსტებულია ჩვენი დროის სულიერი და სოციალური ცვლილებების სრულყოფით, ვიდრე ყველა დანარჩენი; არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ბარბაროსისა, რომელსაც ადამიანი ყველაზე ხანგრძლივად არის ჩაფრენილი, იმაზე ნაკლებია, ადრე რომ ჩამოიბერტყა.

ტვირთი ყველა მიმართებით მძიმეა მისთვის, ვინც თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას უპირისპირდება. უკიდურესად იღბლიანები უნდა იყვნენ და არაჩეულებრივი უნარებით დაჯილდოვებულნი, რომ მათ საერთოდ მოუსმინონ. ისინი უფრო დიდ სირთულეს განიცდიან სასამართლო გარჩევის მიღწევისას, ვიდრე ნებისმიერი სხვა მხარე – განაჩენის გამოტანისას. თუკი ისინი მაინც აღწევენ მოსმენას, მათ წარუდგენენ ლოგიკურ მოთხოვნათა ნაკრებს, რომლებიც სრულიად განსხვავდება

მათგან, სხვებისგან რომ მოითხოვება. ყველა სხვა შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მამტკიცებლის მხარესაა. თუ ადამიანი მკვლელობაშია ბრალდებული, ბრალმდებლებმა უნდა ამტკიცონ მისი დანაშაული და არა ბრალდებულმა – თავისი უდანაშაულობა. თუკი არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რომელიმე სავარაუდო ისტორიული მოვლენის რეალურობასთან მიმართებით, რითიც ადამიანის გრძნობები ზოგადად დაინტერესებული არ არის, როგორიც არის, მაგალითად, ტროას ალყა, მათგან, ვინც ამტკიცებს, რომ მოვლენას ჰქონდა ადგილი, მოელიან მტკიცებულებების წარმოდგენას, სანამ საპირისპირო მხარეს მყოფთაგან მოითხოვენ რამის თქმას. ამ უკანასკნელებისგან კი სხვა არაფერი მოითხოვება, გარდა იმის ჩვენებისა, რომ საპირისპირო მხარის მტკიცებულებებს ღირებულება არ გააჩნიათ. და კვლავ, პრაქტიკულ საკითხებში ივარაუდება, რომ მტკიცების ტვირთი მის მხარესაა, ვინც თავისუფლების წინააღმდეგ გამოდის; ვინც შეზღუდვებისა და აკრძალვებისთვის იბრძვის, იქნება ეს ადამიანის ქმედებათა ზოგადი თავისუფლების შეზღუდვა თუ პრივილეგიათა ჩამორთმევა ან უთანასწორობა, რომელიც ერთი ჯგუფის ადამიანებს ეხება მეორესთან შედარებით. აპრიორი პრეზუმეცია თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის მხარესაა. მიიჩნევა, რომ არ უნდა არსებობდეს შეზღუდვა, რომელიც საზოგადო სიკეთით არ არის ნაკარნახევი, ხოლო კანონი მიკერძოებული კი არ უნდა იყოს, არამედ ყველას თანასწორად მიუდგეს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მოპყრობის სხვადასხვაგვარობა პოზიტიური მიზეზებით არის გამოწვეული, სამართლისა თუ პოლიციის მიზნებიდან გამომდინარე. მაგრამ, მტკიცების არცერთი წესი მოუტანს სარგებელს მათ, ვინც იმ შეხედულებას იზიარებს, რომელსაც მე გამოვთქვამ. უსარგებლოა იმის თქმა, რომ იმ დოქტრინის ერთგულები, რომ მამაკაცებს ქალებზე ბატონობის უფლება

გამომცემლობა „პჟტ“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკევეზი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
17. ედმუნდ პუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ლმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბპაქტი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
26. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

27. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
28. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

29. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

30. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
31. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
34. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

35. ოშო – რა არის მედიტაცია?
36. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

37. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
38. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

39. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
40. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

41. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
42. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
43. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
44. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

45. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი I
46. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი II
47. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი III
48. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი IV
49. ეკჰარტ ტოლე – ანმყოს ძალა
50. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის პერმენევტიკა
51. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
52. ნონა ხიდეშელი – *Carpe diem*
53. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
54. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
55. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია
56. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
57. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
58. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
59. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია